

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების 056/14¹ მოკლე მიმოხილვა

თამარ მალაზონია (სტუდენტი)

საქმის ფაქტები:

ეთიკის კომისიას საჩივრის მომართა კლიენტმა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და ჰონორარის სახით გადახდილი თანხის დაკისრების მოთხოვნით. კლიენტის განცხადებით 2006 წელს შვილიშვილებმა ხელი მოტყუებით მოაწერინეს მას ბინის ჩუქების ხელშეკრულებაზე, რაზეც საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავდა. 2014 წლის მარტის თვეში, ნაცნობმა დააკავშირა კლიენტი ადვოკატთან, რომელიც შეჰპირდა წარმომადგენლობას უზენაეს სასამართლოში, ბინაზე ყადაღის დადებასა და პროცესის მოგებას. ადვოკატმა ხელშეკრულების გარეშე ჰონორარის სახით სთხოვა კლიენტს 400 ლარი, საიდანაც 300 ლარი მიიღო ადვოკატმა და 100 ლარი ნაცნობმა. ამ თანხის მიღების შემდეგ ადვოკატმა შეწყვიტა კლიენტთან ურთიერთობა. კლიენტმა მოგვიანებით გაიგო რომ ადვოკატმა მისი ნებართვის გარეშე შვილიშვილების წინააღმდეგ საჩივრით მიმართა პროკურატურას. ადვოკატის განმარტებით, ადგილი ჰქონდა დანაშაულს შვილიშვილების მხრიდან, რომლებმაც ჩაიდინეს თაღლითობა და მიითვისეს კლიენტის თანხები. მისივე განმარტებით, თავად კლიენტმა დაარღვია ზეპირი შეთანხმების პირობები და მომსახურების თანხა 1000 ლარის ნაცვლად გადაუხადა 300 ლარი.

სამართლებრივი შეფასება:

კლიენტთან შეთანხმებულად მოქმედების სატანდარტი აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი ავალდებულებს ადვოკატს მიაწოდოს კლიენტს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და იმოქმედოს მის დავლებების მიხედვით. კომისიამ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისას აღმოაჩინა, რომ კლიენტი ჩართული იყო ამ წარმოებაში, პროცესულურ დოკუმენტებზე ფიქსირდებოდა მისი ხელმოწერა და ამის გამო შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატი მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით და მისი მითითებით. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ თუ საჩივრის ავტორს აღარ სურდა ადვოკატის მიერ სისხლის სამართლის კუთხით საქმის წარმოება, უნდა შეეწყვიტა მასთან ურთიერთობა. ჰონორარის დაბრუნების საკითხი კი ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის და ეს სამოქალაქო დავა ცალკე უნდა აწარმოოს კლიენტმა ადვოკატის წინააღმდეგ სასამართლოში.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით და მიიჩნია, რომ არ არსებობდა ადვოკატის მიმართ დევნის აღძვრის საფუძველი.

¹ <https://gba.ge/pdf/5c5068bb926ea.pdf/5c5068bb926ea.pdf>